

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი

4.05.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომაჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ივეტა გოგავა - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

მარინე ქარჩავა

ნათია სამუშია

რევაზ ხოფერია

ნატო კობახიძე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ქეთევან კინწურაშვილი

მანანა კველიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:37 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 16 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებები
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	01 აგრარული მეცნიერებანი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრები - თეო ურუშაძე და ელიზბარ ელიზბარაშვილი საქმიანობდნენ ა(ა)იპ -საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, მათ განხილულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადეს თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტი გაიმართა 26 მარტს. ვიზიტმა ჩაიარა ნორმალურ სამუშაო ვითარებაში. შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ჩატარდა გეგმის მიხედვით. დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ყველა ის ღონისძიება იქნა ჩატარებული, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასების საშუალებას მისცემდა. პროგრამის შესახებ დასკვნა იყო დადებითი, პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. თითოეული სტანდარტის ცალ-ცალკე

განხილვისას გამოიკვეთა მცირედი რჩევები და რამდენიმე რეკომენდაციაც, მაგრამ მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დამაკმაყოფილებელი არგუმენტირებული პასუხები დაწესებულების მხრიდან, გადაწყდა დასკვნაში ასახულიყო ერთი რეკომენდაცია.

ექსპერტის განცხადებით, თავდაპირველად რეკომენდაცია არსებობდა მიღების დროს ენის დონესთან დაკავშირებით. მოცემულ სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდებოდა ინგლისური ენის B1 დონით, რაც გავრცელებულ პრაქტიკას არ წარმოადგენდა, ამიტომ ექსპერტებს მიაჩნდათ რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მიღება მოხდებოდა B2 დონით, განსაკუთრებით მაშინ როცა ლიტერატურა ძირითადად ინგლისური იყო და აქცენტი კეთდებოდა ინტერნაციონალიზაციაზე. თუმცა ამასთან დაკავშირებით დაწესებულებისაგან მათ მიიღეს არგუმენტირებული პასუხი, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ პროგრამის განხორციელება უმეტესად დაკავშირებული იყო ფოლქსვაგენის პროექტთან და მათგან წამოსული კონტიგენტი უმეტესად გერმანულენოვანი იყო, ამიტომ B2 დონის მოთხოვნას ინგლისურში შესაძლოა პროგრამაზე მიღების პროცესისათვის დაბრკოლებები შეექმნა პოტენციური კონკურსანტისათვის. ამასთანავე, ზოგადად დარგში ნაკლებად მიდიოდნენ ინგლისური ენის მცოდნე კანდიდატები. ამიტომ გადაწყდა რომ აღნიშნულს მიეღო რჩევის და არა რეკომენდაციის სახე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია, რომელიც აისახა დასკვნაში შეეხებოდა დოქტორანტურაში მიღების წესს. მიღება შემოიფარგლებოდა გასაუბრებით, რაც პრობლემა არ იქნებოდა თუ მისაღებ კონტიგენტს წინაპირობად განსაზღვრული ექნებოდა რომ უნდა ყოფილიყო იმავე დარგის წინა საფეხურების კურსდამთავრებული. ვინაიდან საქმე ეხებოდა მესამე საფეხურს, ექსპერტის აზრით საჭირო იყო პრევენციის მექანიზმი, რომ პროგრამაზე არ მოხდებოდა კანდიდატი, რომელსაც არ ექნებოდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ეს შესაძლოა ყოფილიყო გამოცდა სპეციალობაში. პროგრამაზე მიღება ხდებოდა სამოტივაციო წერილის და გასაუბრების საფუძველზე, შედეგად საბჭო წყვეტდა უნდა ჩარიცხულიყო თუ არა კანდიდატი. ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვა, თუ კონკურენცია იქნებოდა ან რაიმე დაბრკოლება, ხომ არ იყო რაიმე დამატებითი კრიტერიუმი, რაც გათვალისწინებულ იქნებოდა მიღების დროს, რაზეც ექსპერტის თქმით დაწესებულების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მსგავსი შემთხვევებს არ ჰქონდა ადგილი და არსებობდა არგუმენტირებული პასუხი, თუმცა ექსპერტის შეხედულების შესაბამისად რეკომენდაციამ შეინარჩუნა პირვანდელი სახე. ასევე აღინიშნა, რომ დოქტორანტებთან გასაუბრებისას გამოირკვა მათი გათვითცნობიერებულობა, მაგრამ დოქტორანტებს შორის მაინც ჭარბობდნენ ის სტუდენტები, რომლებიც პროგრამაზე ჩაირიცხნენ აგრარული განათლებით. ექსპერტის განცხადებით, ზემოთთქმული არ წარმოადგენდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხარვეზს, რომელიც მთლიანობაში პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებას ხელს შეუშლიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ რიგში სურდა ყურადღება გაემახვილებინა იურიდიულ საკითხზე, კერძოდ აკრედიტაციაზე განაცხადი შეტანილ იქნა 2017 წელს, რის შემდგომაც მოხდა აკრედიტაციის სტანდარტის ცვლილება, მან მიმართა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისას ემსჯელათ ძველ სტანდარტებზე დაყრდნობით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი მხრიდან აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა და შემოწმებაც იმ სტანდარტების მიხედვით განხორციელდა, რომლითაც პროგრამის განაცხადი იყო მომზადებული.



წარმომადგენელი მოკლედ შეეხო პროგრამის ისტორიას და განაცხადა, რომ როდესაც პროგრამა იქმნებოდა, მისი მიზანი იყო აგრარული სფეროს ქვეშ განვითარებულიყო ინტერდისციპლინარული კვლევები. დოქტორანტს, რომელიც დაასრულებდა პროგრამას, ენიჭებოდა მიმართულებითი კვალიფიკაცია, ანუ აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაცია. პროგრამას ჰქონდა უნიკალური სტრუქტურა, რამაც განაპირობა მისი წარმატებული ინტერნაციონალიზაცია. დაწესებულებამ გერმანულ მხარესთან ერთად წარადგინა ერთობლივი პროექტი ფოლქსვაგენის ფონდში, რის შედეგადაც პროექტმა მოიპოვა 3 მილიონი ლარი.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა საუბარი მოცემულ პროგრამაზე თუ სხვა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პროექტი, რომელიც განხორციელდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. გეგმა მოიცავდა ორ პროგრამას, ერთ-ერთ მათგანს დასჭირდებოდა ახალი აკრედიტაცია, ხოლო მეორე პროექტი მოცემული პროგრამის ფარგლებში იქნებოდა განხორციელებული.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა, იყო თუ არა პროგრამა ქართულენოვანი.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა იყო ქართულენოვანი. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამამ მისცა დაწესებულებას საშუალება გაეძლიერებინა ინტერნაციონალიზაციის მიმართულება. დოქტორანტებს საშუალება ეძლეოდათ 3 თვე, სრული დაფინანსებით გაეტარებინათ გერმანულ უნივერსიტეტში და გაეარათ სრაჟირება.

თავმჯდომარე, დაინტერესდა ეხებოდა თუ არა აღნიშნული მოცემულ პროგრამას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო აგრარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, რომელიც ხორციელდებოდა 2013 წლიდან დღემდე. წინა აკრედიტაციის დროს არსებობდა იგივე ექსპერტების რჩევა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულ იქნა. პროგრამის კურსდამთავრებულს, ამ პროექტში განხორციელებული კვლევების შედეგად ენიჭებოდა აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა გაიცემოდა თუ არა კვალიფიკაცია მხოლოდ ქართული უნივერსიტეტისგან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვალიფიკაცია ენიჭებოდა აგრარული უნივერსიტეტისაგან. ეს იყო შესაძლებლობა დოქტორანტებისათვის ჩართულიყვნენ მნიშვნელოვან პროექტში. 16 აპლიკანტიდან 8-მ შეძლო კრიტერიუმების დაკმაყოფილება პროექტში ჩართვისათვის. პროგრამაზე სწავლობდნენ დოქტორანტები, რომლებსაც არ ჰქონდათ აგრარული განათლება, თუმცა საუკეთესო დოქტორანტმა, რომელიც ახორციელებდა საუკეთესო კვლევებს და იყო განსხვავებული სფეროდან, დაამტკიცა, რომ შეეძლო აგრარულ მიმართულებაში ხარისხიანად მუშაობა. მისი სადოქტორო იყო ინტერდისციპლინარული. მან მიღებისას წარმოადგინა კვლევის თემატიკა და არგუმენტირებული მსჯელობა. აღნიშნული დოქტორანტი პროგრამაზე ვერ მოხვდებოდა თუ პროგრამაზე მიღების წინაპირობად იმავე დარგის კვალიფიკაციის ქონა იქნებოდა განსაზღვრული. სტუდენტებს აქტიური კავშირი ჰქონდათ პროფესორებთან, იღებდნენ რჩევებს და თუ ხელმძღვანელები მუშაობის პროცესში მიხვდებოდნენ, რომ მათ დოქტორანტებს აკლდათ ცოდნა, დაწესებულება საშუალებას აძლევდა დოქტორანტებს კრედიტების ფარგლებს გარეთ ქვედა საფეხურის კურსების გავლით გაეუმჯობესებინათ ფუნდამენტური ცოდნა. კანდიდატებს პროგრამაზე მიღებისას უწევდათ მათი მოტივაციის

დასაბუთებაც. კომისიაში წარმოდგენილნი იყვნენ პროფესიონალები, გამოცდილი მეცნიერები, რომლებსაც შეეძლოთ რელევანტური გადაწყვეტილების მიღება.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, სხვა დარგის კურსდამთავრებულისთვის, იყო თუ არა 3 წელი საკმარისი დრო სადოქტოროს დასაცავად.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში იმოქმედებდაა 3+2 წლის პრინციპი. ასევე საბჭოს წევრებს არ უნდა შექმნოდათ შთაბეჭდილება თითქოს არ ტარდებოდა გამოცდა, აღნიშნულ შემთხვევაში გამოცდის ფორმა იყო განსხვავებული თუმცა წარმატებული, რასაც ადასტურებდა პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და გერმანულ უნივერსიტეტებთან განხორციელებული ერთობლივი პროექტები.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, რას გულისხმობდნენ ერთობლივ პროექტში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ექსპერტებს მიღების პრერეკვიზიტებთან დაკავშირებული საკითხი ჩამოეყალიბებინათ რჩევის და არა რეკომენდაციის სახით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა რომ აგრარული უნივერსიტეტი გახლდათ ლიდერი ბაზარზე. ამის გათვალისწინებით ბევრი სხვა უნივერსიტეტი აღნიშნული უნივერსიტეტის პროგრამების კურიკულუმს და სილაბუსებს იყენებს როგორც ერთგვარ თამასას. მას ჰქონდა რჩევა ორი საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, ეს იყო აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები. აკადემიურ წერას ინტერდისციპლინარულ პროგრამაზე ასწავლიდა ფილოლოგი. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა საგნის მიმდინარეობის პროცესში ფილოლოგთან ერთად ჩართული ყოფილიყო დარგში გამოცდილი სპეციალისტიც, რადგან მისი შეხედულებით, ფილოლოგს გაუჭირდებოდა თანაბრად კარგად ესწავლებინა თითოეულ დარგში არსებული აკადემიური წერის თავისებურებანი. კარგი იქნებოდა თუ საგნის მსვლელობის განმავლობაში დოქტორანტები იმუშავებდნენ კონკრეტულ წერით დავალებაზე თავიანთი აკადემიური ხელმძღვანელების მეთვალყურეობის ქვეშ. ნაშრომი შეფასდებოდა, ხოლო მიღებული ქულა აისახებოდა საგნის აკადემიური წერის საბოლოო შეფასებაში ერთ-ერთ კომპონენტად. რაც შეეხებოდა მეორე საგანს, კვლევის მეთოდებში აშკარა იყო რომ აქცენტი კეთდებოდა სტატისტიკაზე. სტატისტიკის ინსტრუმენტების გამოყენება აუცილებელი იყო კვლევაში, თუმცა მხოლოდ სტატისტიკის სწავლება კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში საკმარისი არ იყო. აღნიშნულ შემთხვევაშიც უმჯობესი იქნებოდა საგნის შინაარსის გადახედვა და გამრავალფეროვნება იმ საკითხებით რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო დარგში კვლევის ჩასატარებლად.

წარმომადგენელი დაუბრუნდა კითხვას ერთობლივი პროექტის რაობის შესახებ და განაცხადა, რომ იგულისმებოდა უნივერსიტეტის პროექტი გერმანული უნივერსიტეტის თანამონაწილეობით და დაფინანსებით.

საბჭოს წევრმა, პაატა პრეკაშვილმა იკითხა აღნიშნული ეხებოდა ცალკე, ახალ პროგრამას თუ განსახილველ პროგრამას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ეხებოდა აგრარული მეცნიერებების პროგრამასაც.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლის სიტყვებიდან გამოიკვეთა საქმე ეხებოდა იგივე პროგრამას და პროექტში ჩართული იყო დონორი, რაც დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებდა აკადემიური წერის სწავლებას დოქტორანტებისათვის. აკადემიური წერის ფარგლებში ისწავლებოდა არა მხოლოდ გამართული წერა, არამედ საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება რაც უმნიშვნელოვანესი იყო ნაშრომისათვის. ამასთანავე, დაწესებულებამ შეისწავლა და ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებულ რეალობას. იძებნებოდა დისერტაციები, სადაც წყაროების 80% იყო ვიკიპედია. ამის გათვალისწინებით დაწესებულებას მართებულად მიაჩნდა აკადემიური წერის სწავლება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ განემარტათ, რატომ ჰქონდათ ზოგიერთ საგანში გამოცდა ამოტანილი დატვირთვაში და ზოგიერთში არა. მაგალითისათვის კვლევის მეთოდებში გამოტანილი იყო გამოცდა და ჩათვლილი იყო დატვირთვაში, რაც სხვაგან არ ფიქსირდებოდა. მას აინტერესებდა მხოლოდ ის, თუ რატომ არ იყო მსგავსი მოცემულობა სხვა საგნებზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კალენდარულ გეგმაში მითითებული იყო შუალედური, რომელსაც დოქტორანტები წერდნენ 1 საათის განმავლობაში და ითვლებოდა საკონტაქტო საათად. ჩანაწერში ჩაშლილი იყო ის რაც შედიოდა საკონტაქტო საათებში, იქნებოდა ეს ლექცია, სემინარი და ა.შ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ მას აინტერესებდა არა რას მოიცავდა, არამედ ის თუ რატომ არ იყო სხვა საგანზე მსგავსი მოცემულობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ასე ხდებოდა, რადგან მაგალითისათვის აკადემიური წერის ლექტორს ცალკე გამოცდა, როგორც შუალედური შეფასების ფორმა გამოყოფილი არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ღიად რჩებოდა საკითხი მიღების პრერეკვიზიტთან დაკავშირებით, რადგან რთული წარმოსადგენი იყო პიროვნება გამოსულიყო აგრარული მეცნიერებების დოქტორი ისე, რომ მას წინა საფეხურებზე დარგთან შეხება არ ჰქონოდა. მან თქვა, რომ დადებითი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულება თხოვდა დოქტორანტებს სტატიის რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებას და კითხვით მიმართა ექსპერტებს, გადაამოწმეს თუ არა ეს და ასევე გადაამოწმეს თუ არა დისერტაციები.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ დისერტაციების გადამოწმების საშუალება ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ღიად რჩებოდა საკითხი, საკმარისი იყო თუ არა მიღებისას მხოლოდ სამოტივაციო წერილი და გასაუბრება, მაშინ როდესაც კანდიდატს შესაძლოა ჰქონოდა პროგრამაზე სწავლის მოტივაცია, თუმცა არ ჰქონოდა საჭირო ცოდნა პროგრამის დასაძლევად. მან აღნიშნა, რომ ის გარემოება რაც დაწესებულებამ ახსნა, კერძოდ შესაძლებლობის არსებობა დოქტორანტებისათვის რომ საჭიროების შემთხვევაში წინა საფეხურების კურსებს დასწრებოდნენ ცოდნის შესავსებად, მისაღები იყო, თუმცა ეს პროგრამაში არ ჩანდა და საჭირო იყო რომ მომხდარიყო ამის მითითება. საჭირო იყო მექანიზმის შემუშავება. თუ კანდიდატს აღმოაჩნდებოდა საკმარისი მოტივაცია, დაწესებულებას შეეძლო მისთვის მიეცა შესაძლებლობა ჯერ დარგობრივი საგნები გაეარა ქვედა საფეხურებზე და შემდეგ განხილულიყო მისი მოტივაცია და ჩარიცხვის საკითხი.

საბჭოს წევრმა და დაწესებულების წარმომადგენელმა, თეო ურუშაძემ თქვა, რომ სანამ შედგებოდა გასაუბრება, დოქტორანტებს აქტიური კონტაქტი ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან და იღებდნენ რჩევებს, გადიოდნენ კონსულტაციებს დაძლევდნენ თუ არა საფეხურის მოთხოვნებს და როდესაც დოქტორანტები ხვდებოდნენ, რომ მათ

სჭირდებოდათ ცოდნის გაღრმავება ისინი თავისუფალი კრედიტების ფარგლებში პარალელურად გადიოდნენ შესაბამის საგნებს ქვედა საფეხურებზე. მაგალითისათვის ერთ-ერთმა წარმატებულმა დოქტორანტმა, რომელსაც არ ჰქონდა ამ დარგში მიღებული განათლება წინა საფეხურებზე, ისწავლა საგნები ქვედა საფეხურებზე და შემდგომ დაიწყო კვლევა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა რომ ეს მოდელი, რომელიც წარმატებული დოქტორანტის შემთხვევაში იქნა გამოყენებული, გაწერილი ყოფილიყო პროგრამაშიც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოცდა არ წარმოადგენდა მხოლოდ გასაუბრებას. დებულებაში ეწერა, რომ კანდიდატს უნდა წარედგინა თემა, არგუმენტირებული დასაბუთება და სამოტივაციო წერილი, რის შემდეგაც ხდებოდა გასაუბრება. მოცემული სამი კომპონენტი იძლეოდა საშუალებას კომისიას შეეფასებინა სათანადოდ მოემზადა თუ არა კანდიდატი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული მაინც არ წარმოადგენდა გამოცდას, სტანდარტული გაგებით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ საინტერესო იყო, ჰქონდათ თუ არა აპლიკანტებს შესაბამისი ცოდნა, რომ როდესაც ისინი მაგალითისათვის, დაესწრებოდნენ სემინარ 1-ს და ლექტორი აუხსნიდათ სელექციის მოდელებს, მათ წარმოდგენა ექნებოდათ რას ეხებოდა თემა. თუ ეს მათ არ ეცოდინებოდათ სამაგისტრო დონეზე, სადოქტოროზე ამ ყოველივეს გაგება და ათვისება გაუჭირდებოდათ. ამის დარეგულირება შესაძლებელი იყო გამოცდით, ან სხვა, შესაბამისი მეთოდით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სემინარი 1 ყველა შემთხვევაში იყო ინდივიდუალური.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ცოდნის არმქონე კანდიდატისთვის მოხდებოდა სემინარი 1-ის ინდივიდუალურად შედგენა, ის იქნებოდა სამაგისტრო დონის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამაზე მიდიოდა კანდიდატი, რომელსაც არ ჰქონდა განათლება აგრარული მიმართულებით, პირველ ეტაპზე ის წარადგენდა საკვლევ საკითხს. თუ კომისია საკითხს მოიწონებდა, პირველ სემესტრში მუშაობა ხდებოდა თემის ფორმირებაზე. ამის შემდგომ სწავლებაში ერთვებოდა სემინარები. სემინარი 1, 2 და 3 იყო ინდივიდუალური, მათ სტუდენტები ბოლო პუნქტამდე ინდივიდუალურად გადიოდნენ წელიწად ნახევრის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა თქვა, რომ ეს მის შეკითხვას არ პასუხობდა. თუ მაგალითისათვის, დოქტორანტს, რომელსაც აგრარული განათლება ჰქონდა მიღებული სამაგისტრო საფეხურზე, საკვლევად აინტერესებდა იგივე თემა, რაც სხვა დოქტორანტს, რომელსაც აგრარული განათლება არ ჰქონდა მიღებული წინა საფეხურზე, მათ კომპეტენციებს შორის იარსებებდა სხვაობა და შესაბამისად, მათთვის შეთავაზებული ინდივიდუალური სემინარებიც განსხვავებული დონის იქნებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო საბჭოს წევრის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მათი პროგრამაზე ჩარიცხვის ფორმატი არ იყო გამოცდა, რადგან არ ხდებოდა შეფასება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ, უპასუხა, რომ მას არ უთქვამს, რომ შეფასება არ ხდებოდა, მან თქვა, რომ კლასიკური გაგებით, წარმოდგენილი ფორმატი გამოცდა არ იყო, რადგან გამოცდა სხვა კომპონენტებს მოიცავდა. კანდიდატი სახლში წერდა სამოტივაციოს, მოდიოდა და პასუხობდა კომისიის კითხვებს. აქ არ ჩანდა რაში ხდებოდა კანდიდატის გამოცდა, როგორ ხდებოდა მისი ცოდნის შეფასება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქ კითხვა მდგომარეობდა იმაში თუ რას დავუმახედებდით გამოცდას. მაგალითად, შესაძლოა გამოცდა დარქმეოდა პრეზენტაციასაც, როდესაც კანდიდატს ეძლეოდა დასამუშავებლად რამდენიმე სტატია და კომისია სთხოვდა მას წარედგინა ის, თუ როგორ გაარჩია მან სტატიები. კომისია შეფასებას აძლევდა ერთგვარი ხმის მიცემის მეთოდით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა და ექსპერტმა განაცხადეს, რომ აღნიშნული მოდელი სრულიად მისაღები იყო და თუმცა ეს არ იყო ის, რაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კეთდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომისია იყენებდა ანალოგიურ მეთოდს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მოყვანილი მეთოდი და მათ მიერ აღწერილი არსებული მეთოდი არ იყო ერთნაირი და თვისებრივად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ დახასიათებული მოდელი გაწერილი არ იყო არცერთ დოკუმენტში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა კიდევ ერთი მომენტი. კომისიის წევრი, რომელიც პოტენციური ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო დოქტორანტისა, არ მიიღებდა კანდიდატს, რომელიც საფეხურს ვერ დაძლეოდა. დაწესებულების მოდელი რეალობაში წარმატებით მუშაობდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ არავინ დაობდა იმაზე მუშაობდა თუ არა მოდელი, თუმცა საკითხის განხილვა ვერ დავიდოდა პიროვნულ დონეზე. განხილული უნდა ყოფილიყო დაწესებულებაში არსებული მექანიზმები და არა პიროვნული პასუხისმგებლობა.

საბჭოს წევრმა და დაწესებულების წარმომადგენელმა, თეო ურუშაძემ თქვა რომ, ცოტა ხნის წინ დაწესებულებას ჰქონდა ქეისი, როდესაც დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა, მიუხედავად დარგობრივი განათლებისა, ვერ მოახერხა წარმატებით გაეცლო გასაუბრება და ვერ ჩაირიცხა დოქტორანტურაში.

წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რადგან ის იყო ექსპერტი წინა აკრედიტაციის დროსაც და მას იგივე საკითხზე რეკომენდაცია არ გაუცია, თუმცა რეკომენდაცია გასცა 2018 წელს, ნიშნავდა თუ არა ეს იმას რომ მან პროცესში დაინახა რაიმე საეჭვო, ან დაწესებულებამ მიიღო არასათანადო კანდიდატი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა რომ მსგავსი კითხვებით საბჭოზე მიმართვა ექსპერტისათვის არასწორი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ტონი მას აფიქრებინებდა, რომ საკითხი დგებოდა იმაზე, მიჰქონდა თუ არა მას სიტყვები უკან. მან თქვა, რომ პროგრამას ჰყავდა სტუდენტების კარგი კონტიგენტი, სტუდენტების დიდი უმრავლესობა იყო იმავე დარგის წარმომადგენელი, ამიტომ ის ვერ ხედავდა პრობლემას, რომ გაწერილიყო მექანიზმი, რომელიც ამჟამად დოკუმენტაციაში არ ფიქსირდებოდა. გასათვალისწინებელი იყო, რომ 2013 წლის შემდგომ ვითარება და მოთხოვნები შეიცვალა. ყოველივეს გათვალისწინებით ის თვლიდა, რომ რეკომენდაცია რელევანტური იყო და არ იცვლიდა შეხედულებას. გასაგები იყო დაწესებულების რეალობა, რომ მასთან ნახევრად მომზადებული კონტიგენტი მიდიოდა. საუკეთესო პრაქტიკაში მას ისიც ჰქონდა აღნიშნული, რომ მუდმივად მიმდინარეობდა კვლევები და სტუდენტებს შეეძლოთ კვლევაში ჩართულობა.

წარმომადგენელმა თქვა, რომ ექსპერტის რეკომენდაცია მისთვის მაინც რჩევა უფრო იყო, ვიდრე რეკომენდაცია.



თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ მოცემული თემა ითვლებოდა ამოწურულად და საჭირო აღარ იყო აღნიშნულზე განხილვის გაგრძელება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ კითხვა ჰქონდა ორ საგანთან დაკავშირებით, სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში და სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი. პირველ საგანს ასწავლიდა ვეტერინარი ხოლო მეორეს ბიოლოგი. მას აინტერესებდა, შეძლებდნენ თუ არა ისინი სათანადოდ კურსებით გათვალისწინებული თემატიკის დაფარვას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარდა ვეტერინარიისა, ლექტორი 6 წლის განმავლობაში იყო ხარისხის მენეჯერი და გააჩნდა სათანადო კომპეტენცია, ხოლო მეორე შემთხვევაში, ლექტორი იყო მოქმედი მეცნიერი და საკუთარი გამოცდილებით აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ზოგჯერ რეზიუმე ზუსტად ვერ ასახავდა გამოცდილებას, მაგალითად ეწერა რომ ჰქონდათ პუბლიკაციები, თუმცა სად და რა თემაზე აღნიშნული არ იყო.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში სილაბუსს ეტყობოდა, რომ მის წამკითხველს ქონდა ხარისხის კონტროლის გამოცდილება. სავალდებულო ლიტერატურა იყო ხარისხის მართვის შესახებ, ხოლო დამატებითი ლიტერატურა - სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ. ამ შემთხვევაში, ხარისხის მართვა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რადგან დოქტორანტისათვის მთავარი იყო ცოდნოდა თუ როგორ უნდა ესწავლებინა, მაგალითისათვის აგრონომია, იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტში სწავლებას გადაწყვეტდა; ხოლო ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ დოქტორანტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში, ხარისხის მართვაში დაეწყო მუშაობა. საჭირო იყო მომხდარიყო სილაბუსში ლიტერატურის გადანაცვლება - კერძოდ, ძირითადი ლიტერატურა უნდა გადასულიყო დამატებითში და პირიქით. რაც შეეხებოდა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსს, აქ მოცემული იყო მხოლოდ მარტივი სტატისტიკა და საერთოდ არ ისწავლებოდა თვისებრივი კვლევის მეთოდები. მან კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად სწორი იყო მხოლოდ სტატისტიკაზე კონცენტრირება კვლევის მეთოდებში და საკმარისი იქნებოდა თუ არა არაწრფივი რეგრესიის ცოდნა აგრონომიაში ხარისხის დასაცავად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხდებოდა ზოგადი სწავლება იმისა, რა კვლევითი მეთოდოლოგია გამოიყენებოდა სხვადასხვა სფეროებში. შემდგომ თითოეული დოქტორანტი ასახულებდა იმას თუ როგორ გამოიყენებდა ნასწავლ მეთოდოლოგიას.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა თქვა, რომ ისწავლებოდა 3 სემინარი, სადაც არაფერი იყო ნათქვამი მეთოდოლოგიაზე. აქცენტი კეთდებოდა დარგის აქტუალურ საკითხებზე. ის დაინტერესდა, საკმარისი იქნებოდა თუ არა ნასწავლი მეთოდოლოგია ხუთივე მიმართულებისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატისტიკის საფუძვლიანად სწავლა პრაქტიკაში მეტად იყო შესაძლებელი, რასაც საკუთარი გამოცდილებით ადასტურებდა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელმძღვანელის ფაქტორსაც.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა ჰკითხა ექსპერტს თუ გაეცნენ სემინარების შინაარსს, რადგან ეს ნათლად არ ჩანდა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დოქტორანტებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა რომ ისინი ნაშრომამდე მიდიოდნენ საფეხურობრივად. ჯერ არჩევდნენ ლიტერატურას, ხდებოდა

პრეზენტაციები და აშ. პროცესი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ამიტომ როდესაც სტუდენტები იწყებდნენ მუშაობას მათ დაახლოებით იცოდნენ რა შედეგს მიიღებდნენ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რამდენ დოქტორანტს გაესაუბრნენ ექსპერტები და თუ გაეცნენ სემინარების შინაარსს, ლიტერატურას, სათაურების დონეზე მაინც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ესაუბრნენ 15 დოქტორანტს. ისინი ამბობდნენ, რომ ლიტერატურას და წყაროებს აწვდიდათ ხელმძღვანელი. ლიტერატურის შერჩევა ხდებოდა ინდივიდუალურად. ყოველ ვიზიტზე პროფესორი მათ აძლევდა დავალებებს. დოქტორანტებისათვის მოწყობილი იყო სპეციალური, ინდივიდუალური სამუშაო კუთხეები, სადაც მათთვის ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო ლიტერატურა, რომელიც არსებობდა დეპარტამენტების ბაზაზე.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა თუ რა ენაზე იყო წარმოდგენილი ლიტერატურა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ძირითადად, ლიტერატურა იყო ინგლისურ და ქართულ ენაზე.

16:57 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ -საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -14
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ -საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 9 თვიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 9 თვის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინება.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა 2018 წლის 2 მაისიდან.

საბჭოს რეკომენდაციები:

- მკაფიოდ გაიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
- სასწავლო კურსის - კვლევის მეთოდები სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- კურსი „სწავლება უმაღლეს განათლების სისტემაში“ მოდიფიცირდეს ისე, რომ არჩევითი ლიტერატურა გადავიდეს სავალდებულოში, ხოლო სავალდებულო ლიტერატურა არჩევითში.
- დისერტაციის შეფასება მოხდეს ერთჯერადად.

2. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის №53 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის №53 გადაწყვეტილებაში აკრედიტაციის ვადის მითითების დროს დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, პროგრამას აკრედიტაციის ვადად განესაზღვრა 4 წელი, 7 წლის ნაცვლად. პროგრამას პირველი აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 2013 წლის 12 თებერვალს №36 გადაწყვეტილებით და შესაბამისად ახლა გადიოდა რეაკრედიტაციას. ამიტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების 27⁶ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადად უნდა განსაზღვროდა 7 წელი. საბჭომ განიხილა აღნიშნული ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის №53 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:



მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სსიპ-თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის №53 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.“

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



მდივანი

ნინო ჩანადირი

